პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი
პარასკევი
24 ოქტომბერი
№ 245 (17888)
ფასი 2 კაპ.

გუშინ მოსკოვში მუშაობა დაამთავრა სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიამ.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმა, იმ შესწორებათა გათვალისწინებით, რომლებიც შემოტანეს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიებმა, მრეწველობის კომისიებმა, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიებმა, მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის კომისიებმა, სოფლის მეურნეობის კომისიებმა, მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიებმა, სახალხო მოხმარების საქონლისა და ვაჭრობის კომისიებმა, საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების კომისიებმა, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისიებმა, სახალხო განათლებისა და კულტურის კომისიებმა, ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების, დედათა და ბავშვთა დაცვის კომისიებმა, ახალგაზრდობის საქმეთა კომისიებმა, ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების კომისიებმა.

მუხლი 2. დადგინდეს 1981 წლისათვის მატების შემდეგი ტემპი სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით:

(მატება პროცენტობით 1980 წელთან შედარებით)

მოხმარებისა და დაგროვებისათვის გამოყენებული ეროვნული შემოსავალი	3,4
მრეწველობის პროდუქცია — სულ	4,1
აქედან:	
წარმოების საშუალებათა წარმოება	4,1
მოხმარების საგნების წარმოება	4,2
სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი	5,2
ყველა სახეობის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა	2,6
სახალხო მეურნეობაში დასაქმებული მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა	1,2
შრომის ნაყოფიერება:	
მრეწველობაში	3,6
მშენებლობაში	3,5
რკინიგზის ტრანსპორტზე	1,6
მოგება სამრეწველო საქმიანობისაგან	5,8
რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე	2,9
ხელფასის ფონდი სახალხო მეურნეობაში	3,1
მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები ერთ სულ მოსახლეზე	3,4
სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა	3,9
მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობა	6,6
ბავშვთა რაცხვი სახელმწიფო ბიუჯეტზე	
მყოფ სკოლამდელთა დაწესებულებებში	4,4
მოსწავლეთა რაცხვი გახანგრძლივებული დღის სკოლებში (ან ჯგუფებში)	4,1
მოსწავლეთა მიღება პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში	1,1
მათ შორის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, რომლებიც ზოგად საშუალო განათლებასა და პროფესიულ მომზადებას იძლევიან	2,2
სტუდენტთა მიღება უმაღლეს სასწავლებლებში	0,4
საავადმყოფო საწოლების რაოდენობა	1,8

აშენდეს 1981 წელს დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე 108,9 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები

მუხლი 3. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმის რეალიზაციის დროს განახორციელოს შრომის ნაყოფიერების, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის შემდგომი ამაღლების ღონისძიებანი სოციალისტური შეჯიბრების გაშლის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების ყოველნაირი გამოყენების, პარტიის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სამეურნეო მექანიზმის, ეკონომიკისადმი ხელმძღვანელობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის, ყველა შინაგანი რეზერვის ამოქმედების საფუძველზე და საჭიროების შემთხვევაში შეიტანონ დაზუსტებანი საგეგმო დავალებებში.

მუხლი 4. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განიხილოს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ წინადადებები და შენიშვნები, რომლებიც ჩამოყალიბებულია კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების დასკვნაში, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების სხდომებზე დეპუტატთა მიერ გამოთქმული წინადადებები და შენიშვნები და მიიღოს მათ გამო შესაბამისი გადაწყვეტილებები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1980 წლის 23 ოქტომბერი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნეს ცნობად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოხსენება სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

2. აღინიშნოს, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ახორციელებს საჭირო ღონისძიებებს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლის სახელმწიფო გეგმის შესასრულებლად.

3. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განიხილოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების წინადადებანი და შენიშვნები, აგრეთვე წინადადებანი და შენიშვნები, რომლებიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების სხდომებზე გამოთქვეს დეპუტატებმა სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის საკითხზე, და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე განახორციელოს ღონისძიებანი, რათა წარმატებით შესრულდეს მიმდინარე წლისა და 1981 წლის საგეგმო დავალებანი, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს სახურსათო პროგრამის შემუშავება-რეალიზაციას, დიდი ძვრის უზრუნველყოფას სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების დარგში, საბინაო მშენებლობის განხორციელებას, მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესებას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1980 წლის 23 ოქტომბერი.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი

სსრ კავშირის 1981 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი სსრ კავშირის 1981 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი იმ შესწორებათა გათვალისწინებით, რომლებიც შემოიტანეს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიებმა, მრეწველობის კომისიებმა, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიებმა, მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის კომისიებმა, სოფლის მეურნეობის კომისიებმა, მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიებმა, სახალხო მოხმარების საქონლისა და ვაჭრობის კომისიებმა, საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების კომისიებმა, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისიებმა, სახალხო განათლებისა და კულტურის კომისიებმა, ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების, დედათა და ბავშვთა დაცვის კომისიებმა, ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების კომისიებმა, შემოსავლის ნაწილში 298.361.116 ათასი მანეთის ოდენობით, და გასავლის ნაწილში 298.160.808 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსავლის 200.808 ათასი მანეთის გადამეტებით.

მუხლი 4. დაწესდეს სსრ კავშირის 1981 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოო-ორგანიზაციებისაგან მიღებული შემოსავალი — ბრუნვის გადასახადი, საწარმოო ფონდების საფასური, ფიქსირებული გადასახდელი, მოგების თავისუფალი ნაშთი, მოგების ანარიცხები, საშემოსავლო გადასახადი და სოციალისტური მეურნეობისაგან მიღებული სხვა შემოსავალი — 271.509.781 ათასი მანეთი საერთო ოდენობით.

მუხლი 3. დაწესდეს სსრ კავშირის 1981 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სახალხო მეურნეობის დაფინანსებისათვის — მძიმე მრეწველობის, საამშენებლო ინდუსტრიის, მსუბუქი და კვების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შემდგომი განვითარებისათვის — 159.897.885 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 4. დაწესდეს სსრ კავშირის 1981 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სოციალურ-კულტურული ღონისძიებების — ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, ბიბლიოთეკების, კლუბების, თეატრების, პრესის, ტელევიზიის, რადიომაუწყებლობისა და განათლებისა და კულტურის სხვა ღონისძიებებისათვის; საავადმყოფოების, სანატორიუმების და ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური კულტურის სხვა დაწესებულებების, პენსიებისა და დახმარებებისათვის განკუთვნილი ასიგნებანი 101.926.993 ათასი მანეთის ოდენობით, აქედან სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტის ნაწილში — 36.893.760 ათასი მანეთის ოდენობით.

(დასასრული მე-2 გვ.)

საბჭოეთის მილღვევები და გეგმები

სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია

22 ოქტომბერს კავშირის საბჭოში

22 ოქტომბერს საღამოს გაიმართა კავშირის საბჭოს პირველი სხდომა. დეპუტატები და სტუმრები ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს ი. ვ. ანდროპოვს, მ. ს. გორბაჩოვს, ვ. ვ. გრიშინს, ა. ა. გრომიკოს, დ. ა. კუნაევს, მ. ა. სუსლოვს, ნ. ა. ტიხონოვს, ვ. ვ. შჩერბიცკის, გ. ა. ალიევს, პ. ნ. დემიჩევს, ტ. ი. კისელიოვს, მ. ს. სოლომენცევს, ი. ვ. კაპიტონოვს, ვ. ი. დოლგიხს.

სხდომა მიმდინარეობდა ა. პ. შიტიკოვის თავმჯდომარეობით.

დამსწრეთ პატივი სცეს სასიგნალო ზორის პერიოდში გარდაცვლილი დეპუტატების ვ. ა. ვასილაევისა და კ. ნ. რუდნევის ხსოვნას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ახლად არჩეულ დეპუტატთა უფლებამოსილების შემოწმების შესახებ სამანდატო კომისიის მოხსენება გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ კ. ხ. დემირჩიანმა, მოხსენების გამო მიღებულია შესაბამისი დადგენილება.

პალატის სხდომაზე ცვლილებები შეიტანეს კავშირის საბჭოს ზოგიერთი მუდმივი კომისიის შემადგენლობაში.

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ, სსრ კავშირის 1981 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და სსრ კავშირის 1979 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივი მუდმივი კომისიების თანამოხსენება გააკეთა კავშირის საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ გ. ი. ვაშჩენკომ.

სსრ კავშირის 1981 წლის გეგმისა და ბიუჯეტის პროექტები ითვალისწინებს, თქვა მან, ქვეყნის ეკონომიკის მყარ განვითარებას, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გადიდებას, ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომ ამაღლებას, ჩვენი სახელმწიფოს თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების მუდმივმა კომისიებმა საგულდაგულოდ განიხილეს ქვეყნის 1981 წლის გეგმისა და ბიუჯეტის პროექტები, გამოავლინეს დამატებითი რესურსები და საჭიროდ მიაჩნიათ ზოგიერთი ცვლილების შეტანა.

წამოყენებულია წინადადება სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის გეგმა გაიზარდოს 176.200 ათასი მანეთით და სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალ-გასავალი — 130.580 ათასი მანეთით.

(გაგრძელება მე-2 გვ.)

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა

ამხანაგო დეპუტატებო!

1980 წლის 22 ოქტომბერს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის წერილი.

ამ წერილში ამხ. ა. ნ. კოსიგინი სულითა და გულით უხდის მადლობას პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს, სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს იმისათვის, რომ მრავალი წლის განმავლობაში ისინი ანდობდნენ მას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტს.

თავის წერილში ამხ. ა. ნ. კოსიგინი აღნიშნავს, რომ ბოლო ხანს ჯანმრთელობა გაუუარესდა, დასვენება სჭირდება და ამიტომ ითხოვს განთავისუფლებას აქტიური საქმიანობისაგან. ამასთან დაკავშირებით ამხ. ა. ნ. კოსიგინი გვთხოვს გავთავისუფლოთ იგი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

შემდეგ ამხ. ა. ნ. კოსიგინის წერილში გამოთქმულია მტკიცე რწმენა, რომ კომუნისტური პარტიის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გარშემო შეკავშირებული საბჭოთა ხალხი ახალ დიდ წარმატებებს მიაღწევს კომუნიზმის გამარჯვებისათვის, ქვეყნად ბედნიერებისა და სამართლიანობისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს განიხილა ამხ. ა. ნ. კოსიგინის მიერ აღძრული საკითხი.

ითვალისწინებს რა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობას, სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს განსახილველად შემოაქვს წინადადება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ტიხონოვის დანიშვნის შესახებ.

ამხანაგ ნ. ა. ტიხონოვი დიდი ხნის მანძილზე იმყოფებოდა პასუხსაგებ სამუშაოზე სახალხო მეურნეობაში. იგი იყო დიდი ქარხნის დირექტორი, სსრ კავშირის ერთგული ინტერნაციონალისტი

ამხანაგ ნ. ა. ტიხონოვის გამოსვლა

პატივცემულო ამხანაგო დეპუტატებო!

ნება მიბოძეთ, უდიდესი მადლობა გადავუხადო პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, პირადად თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ, ჩემთვის გაწეული დიდი ნდობისათვის — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე დაწინაურებისათვის.

მადლობას გიხდით, ამხანაგო დეპუტატებო, იმისათვის, რომ თქვენ მხარი დაუჭირეთ ჩემს კანდიდატურას და დამნიშნეთ საბჭოთა მთავრობის მეთაურის პოსტზე.

შეგნებული მაქვს, რაოდენ უაღრესად პასუხსაგები მოვალეობა მეკისრება. ჩემს ვალად ვრაცხ, დაეთნებით ვიმუშაო ჩვენი პარტიის XXIV და XXV ყრილობების მიერ შემუშავებული გენერალური კურსის, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის საპროგრამო მითითებათა თანამიმდევრული განხორციელებისათვის, რითაც ჩვენი პარტია და ხალხი ეგებება სკკპ XXVI ყრილობას.

ჩვენი ლენინური პარტიის კურსი — ეს არის ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუუმჯობესების, ქვეყნის ეკონომიკური სამძლავრის განმტკიცების, მისი უშიშროების უზრუნველყოფის, ქვეყნად მშვიდობის დამკვიდრების კურსი. იგი შეესაბამება მთელი ხალხის ინტერესებს, სარგებლობს ყველა საბჭოთა ადამიანის ერთსულოვანი მხარდაჭერით და მოწონებით.

ნება მიბოძეთ, აღგითქვათ, ამხანაგო დეპუტატებო, აღვუთქვა ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ ძალ-ღონეს არ დავიშურებ, რათა გავამართლო ჩემთვის გაწეული დიდი ნდობა.

მთავრობის ყველა წევრის სახელით და პირადად, ნება მომეცით, აღგითქვათ, რომ მინისტრთა საბჭო ყოველ ღონეს იხმარს, რათა ლენინური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით უზრუნველყოს ჩვენი ქვეყნის გულდაჯერებული წინსვლა კომუნისტური მშენებლობის გზით. (ხანგრძლივი ტაში).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

ამხ. ნ. ა. ტიხონოვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დაინიშნოს ამხ. ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ტიხონოვი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ და განთავისუფლდეს იგი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის მოვალეობისაგან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1980 წლის 23 ოქტომბერი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

ამხ. ა. ნ. კოსიგინის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

განთავისუფლდეს ამხ. ალექსი ნიკოლოზის ძე კოსიგინი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან მისივე თხოვნით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1980 წლის 23 ოქტომბერი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი

ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ტიხონოვი

ამხ. ნ. ა. ტიხონოვი დაიბადა 1905 წელს, სკკპ წევრია 1940 წლიდან. შრომითი საქმიანობა დაიწყო 1924 წელს ორთქლმავლის მემანქანის თანაშემწედ. დნეპროპეტროვსკის მეტალურგიული ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 1930 წლიდან მუშაობდა ინჟინრად, საამქროს უფროსად, მთავარ ინჟინრად, ქარხნის დირექტორად. ეკავა მთელი რიგი ხელმძღვანელი თანამდებობები სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროში — იყო სამინისტროს მთავარი სამმართველოს უფროსი, მინისტრის მოადგილე. 1957 წელს სათავეში ჩაუდგა დნეპროპეტროვსკის სახალხო მეურნეობის საბჭოს. 1960 წლიდან იყო სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე — სსრ კავშირის მინისტრი, 1963 წლიდან — სსრ კავშირის სახელმწიფო-საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე — სსრ კავშირის მინისტრი, 1965 წლიდან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, 1976 წლიდან — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე. 1978 წელს აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად, ხოლო 1979 წელს — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრად.

არის სოციალისტური შრომის გმირი, სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი.

ამხ. ნ. ა. ტიხონოვი სსრ კავშირის მთელ რიგ მოწვევათა უმაღლესი საბჭოს დეპუტატია.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის

კანონი

სსრ კავშირის 1981 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

(დასასრული)

მუხლი 5. დაწესდეს სსრ კავშირის 1981 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ქვეყნის თავდაცვის ასიგნებანი 17.054.000 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 6. დაწესდეს სსრ კავშირის 1981 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, სახელმწიფო მმართველობის, სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოების შესანახი ასიგნებანი 2.540.956 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 7. დამტკიცდეს 1981 წლის საკავშირო ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში 167.486.406 ათასი მანეთის ოდენობით და გასავლის ნაწილში 167.285.598 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსავლის 200.808 ათასი მანეთის გადამეტებით.

მუხლი 8. დაწესდეს მოკავშირე რესპუბლიკების 1981 წლის სახელმწიფო ბიუჯეტები შემოსავალ-გასავლის ნაწილში 130.874.710 ათასი მანეთის ოდენობით, აჭედან მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით:

(ათასი მანეთი)

რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა	71.072.847
უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	23.223.179
ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	5.612.552
უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	5.659.360
ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	8.783.855
საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	2.281.872
აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	2.129.122
სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	2.443.067
მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	1.750.148
ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	1.605.865
ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	1.478.819
ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	1.228.556
სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	1.491.671
თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	1.077.571
ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	1.087.226

მუხლი 9. დამტკიცდეს 1981 წლისათვის მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებში საერთო საკავშირო სახელმწიფო გადასახადისა და შემოსავლის ანარიცხები შემდგომი ოდენობით:

ა) ბრუნვის გადასახადის შემოსულობისა: რუსეთის სფსრ — 45,6 პროცენტი, უკრაინის სს რესპუბლიკისა — 64,9 პროცენტი, ბელორუსიის სს რესპუბლიკისა — 54,6 პროცენტი, უზბეკეთის სს რესპუბლიკისა — 91,6 პროცენტი, ყაზახეთის სს რესპუბლიკისა — 100 პროცენტი, საქართველოს სს რესპუბლიკისა — 67,4 პროცენტი, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკისა — 47,8 პროცენტი, ლიტვის სს რესპუბლიკისა — 90,9 პროცენტი, მოლდავეთის სს რესპუბლიკისა — 56,6 პროცენტი, ლატვიის სს რესპუბლიკისა — 41,9 პროცენტი, ყირგიზეთის სს რესპუბლიკისა — 95,4 პროცენტი, ტაჯიკეთის სს რესპუბლიკისა — 70,4 პროცენტი, სომხეთის სს რესპუბლიკისა — 55,4 პროცენტი, თურქმენეთის სს რესპუბლიკისა — 96,4 პროცენტი, ესტონეთის სს რესპუბლიკისა — 61,6 პროცენტი;

ბ) 1981 წელს გამოსაშვები სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მოგებიანი სესხის თანხისა — 50 პროცენტი;

გ) უზბეკეთის სსრ, ყაზახეთის სსრ, ყირგიზეთის სსრ და თურქმენეთის სსრ მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადისა — 100 პროცენტი;

გამოეყოს 1981 წელს საკავშირო ბიუჯეტიდან ყაზახეთის სს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტს 582.568 ათასი მანეთი იმ ღონისძიებათა დაფინანსების უზრუნველსაყოფად, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმით.

მუხლი 10. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განიხილოს წინადადებები და შენიშვნები, რომლებიც მოცემულია კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგეგმო-სახიფოვნო და სხვა მუდმივი კომისიების დასკვნებში სსრ კავშირის 1981 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გამო, აგრეთვე წინადადებები და შენიშვნები, რომლებიც დეპუტატებმა გამოთქვეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების სხდომებზე, და მიიღონ მათ გამო შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1980 წლის 23 ოქტომბერი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება
სსრ კავშირის 1979 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს სსრ კავშირის 1979 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შემოსავლის ნაწილში 281.531.447 ათასი მანეთის ოდენობით და გასავლის ნაწილში 276.870.427 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსავლის 5.161.020 ათასი მანეთის გადამეტებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1980 წლის 23 ოქტომბერი.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის

კანონი

სსრ კავშირის ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი:

1980 წლის 6 აგვისტოსი — „ტყის კანონმდებლობის დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ";

1980 წლის 13 აგვისტოსი — „ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების, დასახლებული პუნქტებისა და სხვა ობიექტების სახელწოდებისა და გადარქმევის, აგრეთვე მათთვის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა სახელების მიკუთვნების წესის თაობაზე სსრ კავშირის ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ";

1980 წლის 15 აგვისტოსი „სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოთა, ორგანიზაციათა და თანამდებობის პირთა ალმებისა და ვიმპელების შესახებ".

1980 წლის 1 ოქტომბრისა — „წყლის კანონმდებლობის დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ";

1980 წლის 1 ოქტომბრისა — „სადღესასწაულო და სამახსოვრო დღეების შესახებ";

1980 წლის 9 ოქტომბრისა — „სსრ კავშირის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საზღვაო საარბიტრაჟო კომისიის თაობაზე დებულების დამტკიცების შესახებ";

1980 წლის 10 ოქტომბრისა — სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავის საქვეშეწყობის შესახებ".

2. დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 15 აგვისტოს ბრძანებულება „სსრ კავშირის სახელმწიფო ალმის თაობაზე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ", და დამატება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო ალმის თაობაზე დებულების 8 მუხლის 8 პუნქტს ხსენებული ბრძანებულებით დამტკიცებულ რედაქციაში სიტყვების შემდეგ „7 და 8 ნოემბერი" სიტყვებით „30 დეკემბერი".

საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1980 წლის 23 ოქტომბერი.

საბჭოთის ბილღევები და გეგმები

(გაგრძელება)

კომისიების სახელით ორატორმა წამოაყენა წინადადება დამტკიცონ სსრ კავშირის 1981 წლის სახელმწიფო გეგმა და ბიუჯეტი მათი შესწორებების გათვალისწინებით.

მეთერთმეტე ხუთწლიდის პირველი წლის დაძაბული დავალებების წარმატებით შესრულება, აღნიშნა ორატორმა, ბევრად იქნება დამოკიდებული ორგანიზატორულ მუშაობაზე საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ყოველმხრივი ამაღლებისათვის, შრომის ნაყოფიერების დაჩქარებული გადიდებისათვის მშრომელთა დასარაზმავად.

მუდმივი კომისიები აღნიშნავენ, რომ არის წარმოების შემდგომი ზრდის რეზერვები და შესაძლებლობანი, და შემოაქვთ რეკომენდაციები, რომელთა რეალიზაცია ხელს შეუწყობს გეგმის დავალებებისა და ბიუჯეტის წარმატებით შესრულებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და პირადად ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი უპირველეს ყურადღებას აპყრობენ ფართო ასორტიმენტისა და მაღალი ხარისხის სასურსათო პროდუქტებით მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესებას. ეს ერთი-ერთი ყველაზე დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა, რომელიც გამომდინარეობს პარტიის მიერ აღებული შრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების გენერალური კურსიდან.

მისი გადაწყვეტისათვის, სოფლის მეურნეობის დაჩქარებულ განვითარებასთან ერთად საჭიროა უზრუნველყოფთ მთელი სასურსათო კომპლექსის კოორდინირებული მუშაობა. ჯერჯერობით ამ საქმეში ბევრი გადასაწყვეტი საკითხია, მათ შორის არის დაგეგმვის, მართვის, კაპიტალური დაბანდებებისა და სხვა რესურსების განაწილების საკითხები. შესაბამისმა ორგანოებმა უნდა დაჩქარონ მათი გადაწყვეტა.

სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა სამინისტროებთან ერთად უნდა აამაღლოს სახალხო მოხმარების ძირითად საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნის შესწავლის ორგანიზაციის დონე, ამასთან გაზარდოს ხალხისათვის ნამდვილად საჭირო საქონლის წარმოება და ვაჭრობისათვის მისი მიწოდება.

დასასრულ გ. ი. ვაშჩენკომ გამოთქვა რწმენა, რომ ჩვენი სამშობლოს მშრომელები, რომლებიც მტკიცედ არიან შეკავშირებული ლენინური კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო, ძალ-ღონეს, ცოდნასა და გამოცდილებას არ დაიშურებენ, რათა წარმატებით განახორციელონ მეთერთმეტე ხუთწლედის სასტარტო წლის გეგმა სოციალისტური სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის.

პალატაში კამათი რომ დაიწყო, ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ დეპუტატმა **ხ. ნ. იმაშევმა** დამსწრეთ გააცნო ის დიდი წარმატებანი, რომლებითაც რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მშრომელები ეგებებიან სკკპ XXVI ყრილობას.

სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებიც ასრულებენ ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე და ალმა-ათაში საიუბილეო ზეიმობაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ გამოთქმულ რჩევა-დარიგებებსა და მითითებებს, უდანაკარგოდ აიღეს მთელი მოწეული მოსავალი.

დეპუტატი შეეხო აგრეთვე მთელ რიგ გადასაჭრელ პრობლემებს, კერძოდ, მან აღნიშნა, რომ ყაზახეთში ფერადი მეტალურგიის შემდგომი დაჩქარებული განვითარების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი პირობაა მადნის მიწისქვეშა მოპოვების დროს თვითმავალი მოწყობილობის უფრო ფართოდ გამოყენება, მაგრამ საწარმო ჯერ კიდევ ნაკლებად არის უზრუნველყოფილი ამ ტექნიკით.

საბჭოთა რუსეთის მშრომელებს, თქვა რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დეპუტატმა **ა. მ. კალაშნიკოვმა,** ღირსეული წვლილი შეაქვთ ქვეყნის საერთო მიღწევებში.

ამასთან ბევრი სამრეწველო საწარმო და გაერთიანება ჯერ კიდევ ნაკლებად იყენებს თავის შესაძლებლობებს, სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგებში ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, მოწინავე გამოცდილების დანერგვას, ნელა მიმდინარეობს საწარმოთა რეკონსტრუქცია და ტექნიკური განახლება.

რუსეთის სფს რესპუბლიკაში კაპიტალური მშენებლობის გაჯანების რომ შეეხო, ორატორმა თქვა, რომ ამ საქმეში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია — დიდია დაუმთავრებელ მშენებლობათა მოცულობა, ნელა იზრდება მშენებლობის კომპლექსურობის დონე.

უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა დეპუტატმა **ი. ა. მოზგოვიმ** თქვა, რომ რესპუბლიკის ეკონომიკამ, რომელიც ქვეყნის ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსში ვითარდება, ახალ წარმატებებს მიაღწია.

ორატორმა დიდი ყურადღება დაუთმო მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის შემდგომ განვითარებას. ამასთან დაკავშირებით, თქვა მან, განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა მიწაზე მეურნეობრიობის გაუმჯობესებს, ნიადაგის ნაყოფიერების გადიდებისათვის ბრძოლის საკითხებს. უნდა გადაიჭრას საკვების წარმოების გადიდების პრობლემა.

დეპუტატს მიაჩნია, რომ საჭიროა გაიზარდოს სოფლისათვის ავტომობილების, ტრაქტორების, მარცვალსაყიდი კომბაინების, სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მიწოდება.

ხუთწლედის მანძილზე, თქვა ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ **ვ. ა. გვოზდევმა,** მნიშვნელოვნად გაიზარდა ბელორუსიის სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალი.

შრომითმა კოლექტივებმა, ჩვენმა კადრებმა, თქვა დეპუტატმა, შეიძინეს დიდი მასშტაბის სამეურნეო, სოციალური და კულტურულ-ამზრდელობითი ამოცანების გადაწყვეტის საყურადღებო გამოცდილება. და, ცხადია, ვეწწრაფვით დავამკვიდროთ ყოველივე ეს, ვამრავლოთ მიღწეული, გამოვასწოროთ ის ხარვეზები, რომლებიც ჯერ კიდევ გვაქვს მუშობაში. ორატორმა აღნიშნა, რომ სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის გეგმის პროექტით გათვალისწინებულია ბელორუსიის სს რესპუბლიკის ეკონომიკის — ქვეყნის ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის შემადგენელი ნაწილის შემდგომი დინამიკური ზრდა.

ჩვენი ქვეყნის წარმატებები დამაჯერებლად მოწმობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის სისწორეს, თქვა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა დეპუტატმა **ა. ა. ლოგუნოვმა.**

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას რომ შეეხო, მან აღნიშნა, კერძოდ, დიდი წვლილი მოსკოვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და უმაღლესი სასწავლებლებისა, სადაც იშვა და ფართოდ გავრცელდა დედაქალაქის მეცნიერებისა და საწარმოების ხელშეკრულებებისა და შემოქმედებითი თანამეგობრობის [illegible] გრესული პრაქტიკა, ამის მაგალითია მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მრავალი წლის თანამშრომლობა ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის გაერთიანებასთან.

ქვეყანაში უდიდესი მეცნიერული პოტენციალია, მაგრამ მისი გამოყენების ეფექტიანობა, როგორც ორატორს მიაჩნია, ჯერ კიდევ არ არის საკმარისი.

ქარხანა „როსტოვსოფლმანქანის" (დონის როსტოვი) მხეხავმა, დეპუტატმა **ზ. კ. ერიომენკომ** აღნიშნა, რომ საწარმოს მრავალათასიანი კოლექტივი დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით აღიქვამს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ დასახულ ამოცანას დიდმწარმოებლური მარცვალსაღები კომბაინის გამოშვების დაჩქარებისათვის.

[illegible] — [illegible] — [illegible] — [

საბჭოეთის მიღწევები და გეგმები

(დასასრული)

ბაზე ილაპარაკა სესიის ტრიბუნიდან საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა დეპუტატმა **ბ. ვ. ადლეიბამ.** საქართველოს სს რესპუბლიკაში სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოების გადიდებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული განვითარების ღონისძიებათა შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულებას ბევრი ძალ-ღონე და ყურადღება ეთმობა. ამასთან დაკავშირებით დეპუტატმა აღნიშნა ის დიდი დახმარება, რომელსაც რესპუბლიკას უწევენ საკავშირო სამინისტროები და უწყებები.

მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებს შეეხო თავის გამოსვლაში ბრიანსკის კოლმეურნეობა „კომსომოლეცის“ თავმჯდომარე დეპუტატი **პ. ი. ეფიმენკო.**

მინის ნაყოფიერების გადიდება, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ზრდა, თქვა მან, მოითხოვს საიმედო, დიდად ეფექტიანი მანქანების კომპლექსს. ორატორმა წამოაყენა წინადადება, გაზარდონ იმ სამრეწველო საწარმოების სიმძლავრენი, რომლებიც ამზადებენ სოფლისათვის საჭირო ტექნიკას.

ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, თქვა თურქმენეთის სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა **ბ. იაჩკულიევმა,** თურქმენეთში გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება პარტიის XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის. რესპუბლიკის მშრომელები მთავარ მეცადინეობას ახმარენ იმ საკვანძო მიმართულებებს, რომლებიც აღნიშნულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ოქტომბრის პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში.

დეპუტატმა ილაპარაკა აგრეთვე ბებაბმეთა მუშაობაზე, რომლებმაც მეთერთმეტე ხუთწლედში მნიშვნელოვნად უნდა გაზარდონ ბამბის, განსაკუთრებით ნაზბოჭკოიანი ბამბის მოსავალი.

ქვეყნის ალმოსავლეთის საწარმო ძალების განვითარებაში მეცნიერების მნიშვნელობას შეეხო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების ალმოსავლეთ ციმბირის ფილიალის პრეზიდიუმის თავმჯდომარე დეპუტატი **ნ. ა. ლოგაჩევი.**

ალმოსავლეთ ციმბირის ფილიალში თავმოყრილია მნიშვნელოვანი მეცნიერული პოტენციალი. მის მეცნიერ თანამშრომლთა დიდი რაზმი წარმატებით წყვეტს ციმბირის ბუნებრივი რესურსების კომპლექსური ათვისების გრძელვადიანი პროგრამის მრავალ ამოცანას.

სკკპ ასტრახანის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა დეპუტატმა **ლ. ა. ბოროდინმა** ილაპარაკა ოლქში ეკონომიკური და კულტურული მშენებლობის შედეგების, თევზის დამშუშავებელი მრეწველობის განვითარების შესახებ. იგი შეეხო აგრეთვე პრობლემებს, რომლებიც დაკავშირებულია ვოლგა-ახტუბის ჭალისა და ვოლგის დელტის უფრო სრულ გამოყენებასთან ბოსტნეულის, ბაღჩეულისა და ბრინჯის წარმოების გადიდებისათვის.

ქვეყნის სახალხო მეურნეობის წინაშე მდგომი დიდი ამოცანების გადაწყვეტაში შეძლებისდაგვარი წვლილი შეაქვთ ბარნაულის ვ. ი. ლენინის სახელობის სატრანსპორტო მანქანათსაშენებელი ქარხნის მშრომელებს. საწარმოს დირექტორმა დეპუტატმა **ლ. ვ. მარკინმა** სესიას მოახსენა, რომ გადაპარბებით შესრულდა პროდუქციის რეალიზაციის მიმდინარე ცხრა თვის გეგმა.

მაგრამ მიღწეული, თქვა მან, საფუძველს არ გვაძლევს თვითდამშვიდებისათვის: ჯერ კიდევ დიდი მუშაობა უნდა გავწიოთ დიზელების წარმოების სრულყოფის, მათი ეკონომიურობის გადიდების, მსგავსი ნაწარმის საუკეთესო ნიმუშების დონემდე აყვანისათვის.

გრანდიოზული ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის ყველას გვჭირდება მშვიდობა, თქვა აზია-აფრიკის ქვეყნებთან სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარემ დეპუტატმა **მ. ა. იბრაგიმოვმა.** ახლანდელ რთულ საერთაშორისო ვითარებაში კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო ახორციელებენ რეალისტურ, პატიოსან და პრინციპულ პოლიტიკას, რომლის მიზანია ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნება, საბჭოთა ხალხის ბედნიერი ცხოვრების უზრუნველყოფა. ეს პოლიტიკა უპირისპირდება ამერიკის იმპერიალიზმის მიერ შთაგონებულ ბოროტ და ბნელ ძალების ავბედითს საქმეებსა და გეგმებს.

კომკავშირულ-ახალგაზრდული კოლექტივის ხელმძღვანელმა, ტიუმენის ოლქის ხუროთა ბრიგადირმა დეპუტატმა **ა. ა. ბარაევმა** სესიის ტრიბუნიდან განაცხადა, რომ, როგორც მას, ისე თანამოაზრეთ ამხანაგებს შთაგონებთ ტიუმენის ჩრდილოეთის ათვისების პერსპექტივები.

სკკპ ტამბოვის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა დეპუტატმა **ა. ა. ხომიაკოვმა** აღნიშნა, რომ განსაკუთრებით აქტუალურია სასურსათო პროგრამის მომზადების საკითხის დაყენება.

მან განაცხადა, რომ ოლქის მშრომელები აქტიურად იბრძვიან საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობების წარმოების ინტენსიფიკაციისათვის. მაგრამ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდას აფერხებს ენერგოგაჯერებული ტრაქტორების, სრულყოფილი ჭარხლის ასაღები კომბაინების, სხვა თანამედროვე ტექნიკის უქონლობა.

ამით კავშირის საბჭოს სხდომა დამთავრდა.

23 ოქტომბერს ეროვნებათა საბჭოში

ეროვნებათა საბჭოს სხდომაზე დეპუტატები და სტუმრები ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს **ა. ი. პელშეს, ვ. ვ. კუზნეცოვს, ს. ნ. პონომარიოვს, შ. რ. რაშიდოვს, ე. ა. შევარდნაძეს, მ. ვ. ზამიანინს, კ. ვ. რუხაკოვს.**

სხდომას თავმჯდომარეობდა ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ვ. რუბენი.**

კამათში გამოსვლისათვის სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის მინისტრს დეპუტატ **ნ. ნ. ტარასოვს.**

ილაპარაკა რა დარგის ამოცანებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ოქტომბრის პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში, დეპუტატმა ილაპარაკა აგრეთვე ზებაბმეთა მუშაობაზე, რომლებმაც მეთერთმეტე ხუთწლედში მნიშვნელოვნად უნდა გაზარდონ ბამბის, განსაკუთრებით ნაზბოჭკოიანი ბამბის მოსავალი.

ქვეყნის ალმოსავლეთის საწარმო ძალების განვითარებაში მეცნიერების მნიშვნელობას შეეხო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების ალმოსავლეთ ციმბირის ფილიალის პრეზიდიუმის თავმჯდომარე დეპუტატი **ნ. ა. ლოგაჩევი.**

ალმოსავლეთ ციმბირის ფილიალში თავმოყრილია მნიშვნელოვანი მეცნიერული პოტენციალი. მის მეცნიერ თანამშრომლთა დიდი რაზმი წარმატებით წყვეტს ციმბირის ბუნებრივი რესურსების კომპლექსური ათვისების გრძელვადიანი პროგრამის მრავალ ამოცანას.

სკკპ ასტრახანის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა დეპუტატმა **ლ. ა. ბოროდინმა** ილაპარაკა ოლქში ეკონომიკური და კულტურული მშენებლობის შედეგების, თევზის დამშუშავებელი მრეწველობის განვითარების შესახებ. იგი შეეხო აგრეთვე პრობლემებს, რომლებიც დაკავშირებულია ვოლგა-ახტუბის ჭალისა და ვოლგის დელტის უფრო სრულ გამოყენებასთან ბოსტნეულის, ბაღჩეულისა და ბრინჯის წარმოების გადიდებისათვის.

ქვეყნის სახალხო მეურნეობის წინაშე მდგომი დიდი ამოცანების გადაწყვეტაში შეძლებისდაგვარი წვლილი შეაქვთ ბარნაულის ვ. ი. ლენინის სახელობის სატრანსპორტო მანქანათსაშენებელი ქარხნის მშრომელებს. საწარმოს დირექტორმა დეპუტატმა **ლ. ვ. მარკინმა** სესიას მოახსენა, რომ გადაპარბებით შესრულდა პროდუქციის რეალიზაციის მიმდინარე ცხრა თვის გეგმა.

მაგრამ მიღწეული, თქვა მან, საფუძველს არ გვაძლევს თვითდამშვიდებისათვის: ჯერ კიდევ დიდი მუშაობა უნდა გავწიოთ დიზელების წარმოების სრულყოფის, მათი ეკონომიურობის გადიდების, მსგავსი ნაწარმის საუკეთესო ნიმუშების დონემდე აყვანისათვის.

